ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №5
2025 წლის 28 თებერვალი

დაბა ხულო

„ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 ივლისის №9 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე, ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

„ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 ივლისის №9 დადგენილების დანართში (www.matsne.gov.ge, 28/07/2023, სარეგისტრაციო კოდი: 010250020.35.136.016411) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1. **დანართის მე-4 მუხლი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**
„მუხლი 4. აპარატის შემადგენლობა

1. საკრებულოს აპარატის შემადგენლობაში შედიან:

ა) ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირი – პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი – აპარატის უფროსი (შემდეგში – აპარატის უფროსი);

ბ) ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირი – პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოადგილე – აპარატის უფროსის მოადგილე (შემდეგში – აპარატის უფროსის მოადგილე);

გ) მეორე რანგი – საშუალო მმართველობითი დონე: მეორადი სტრუქტურული ერთეულს ხელმძღვანელი – აპარატის განყოფილების უფროსი;

დ) მესამე რანგი – უფროსი სპეციალისტის დონე: პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი;

ე) მეოთხე რანგი – პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი;

ვ) შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი.“.

2. **დანართის მე-5 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**
„1. აპარატის დებულების პროექტს საკრებულოს თავმჯდომარესთან შეთანხმებით შეიმუშავებს აპარატის უფროსი. აპარატის სტრუქტურა აისახება აპარატის დებულებასა და საშტატო ნუსხაში, რომელსაც საკრებულოს თავმჯდომარის წარდგინებით ამტკიცებს საკრებულო.“.

3. **დანართის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**
„2. აპარატის საქმიანობას წარმართავს აპარატის უფროსი.“.

4. **დანართის მე-6 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„1. აპარატის მუშაობას ხელმძღვანელობს, ორგანიზაციასა და კოორდინაციას უწევს აპარატის უფროსი, რომელთანაც კანონმდებლობით დადგენილი წესით ადმინისტრაციულ ხელშეკრულებას აფორმებს საკრებულოს თავმჯდომარე.“.

5. **დანართის მე-6 მუხლს დაემატოს 1^1 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**
„1^1. აპარატის უფროსის უფლებამოსილებები და სამსახურებრივი ფუნქციები განისაზღვრება ამ დებულებითა და საკრებულოს თავმჯდომარესთან გაფორმებული ადმინისტრაციული ხელშეკრულებით.“.

6. **დანართის მე-7 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**
„1. აპარატის უფროსს აპარატის გამართული ფუნქციონირების მიზნით ჰყავს აპარატის უფროსის მოადგილე, ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირი, რომელთანაც კანონმდებლობით დადგენილი წესით ადმინისტრაციულ ხელშეკრულებას აფორმებს საკრებულოს თავმჯდომარე.“.

7. **დანართის მე-7 მუხლს დაემატოს 1^1 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**
„1^1. აპარატის უფროსის მოადგილის უფლებამოსილებები და სამსახურებრივი ფუნქციები განისაზღვრება ამ დებულებითა და საკრებულოს თავმჯდომარესთან გაფორმებული ადმინისტრაციული ხელშეკრულებით.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ხულოს მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **რენარ ბოლქვაძე**